

უთანასწორობა, სტრატეგიკაცია და კლასი (ნეილ სმელზერი)

ჩვეულებრივი ადამიანისათვის ალტერ როუდი დეტროიტში გამოიყურება, როგორც ჩვეულებრივი ქალაქური ქუჩა. მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებნი მას „ბერლინის კედელს“ ანდა „მეიზონ-დიქსონის ხაზს“ უწოდებენ. ეს იმით აიხსნება, რომ ალტერ როუდი გამოყოფს დეტროიტის აღმოსავლურ ნაწილს - ღარიბ გეტოს ფეშენებლურ, მდიდარ გარეუბან გროს პოინტისაგან.

კორესპონდენტმა ამანდა ბენეტმა „უოლდ-სტრიტ ჯორნელში“ (1982) დაახასიათა ალტერ როუდის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ ადამიანთა ერთობები: „დეტროიტის აღმოსავლეთ ნაწილში ღარიბები ცხოვრობენ, ძირითადად ზანგები. გროს პოინტში კი მდიდრები და მთლიანად თეთრები. სკოლის შენობებს, სადაც დეტროიტის ისტ-საიდის მცხოვრებთა შვილები სწავლობენ, პოლიციელები იცავენ. გროს პოინტში მცხოვრები პრივილეგიებული ბავშვები ვიოლინოზე დაკვრის გაკვეთილებზე დადიან და აქვთ საკუთარი კომპიუტერები. დეტროიტის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ადამიანებისათვის „დახმარება“ გადარჩენას ნიშნავს; ხოლო იმათთვის კი, ვინც ალტერ როუდის მეორე მხარეს ცხოვრობს, ეს სიტყვა ჩვეულებრივ თაღლითობასთან ასოცირდება. განსხვავება იმდენად გასაოცარია, რომ სხვა ადგილებიდან ჩამოსული დეტროიტელთა მეგობრები და სტუმრები შოკში ვარდებიან, როდესაც ალტერ როუდზე გაატარებენ. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მწყობრიდან გამოსულ მანქანათა გროვები დგას, მრავლად არის დამწვარი სახლები, რომლის კედლებზე ყოველნაირი წარწერა და ნახატია ამოჩხაპნილი. დანაგვიანებულ ქუჩებში დაუსაქმებელ ადამიანთა ბრბოები დაბორილებენ. სულ რაღაც სამ მეტრში კი იხსნება სულ სხვა სურათი - ავტურატულად გაჭრილი ცოცხალი ღობეები და შეღებილი სადგომები, კედლები გვახსენებენ სხვა სამყაროს - სადაც არის გაზონსაკრეჭი მანქანები, ლაქები-მოსამსახურეები ორი ავტომობილისათვის და საქველმოქმედო სადამოები. როგორც სენატორი დემოკრატი ჯონ კელი ამბობს (რომელიც ორივე მხარის წარმომადგენელია სენატში, აქ ერთის მხრივ - „დასავლეთ ბეირუთია“, ხოლო მეორეს მხრივ კი - ზღაპრული ქვეყანა „დისნეილენდი“.

80-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკურმა დაცემამ განსხვავებულად იმოქმედა ამ ორ ადამიანურ ურთიერთობაზე. ბენეტი წერს: „ცხოვრების წესი იცვლება ყველა დონეზე. ალტერ როუდის ერთ მხარეზე მცხოვრები უმუშევარი იძულებულია უარი თქვას ტენისის კლუბის წევრობაზე. მეორე მხარეზე მცხოვრები უმუშევარი ქალი კი თავს ვერ აძლევს ჰამბურგერის შეჭმის უფლებას. გროს პოინტში სავაჭრო ფირმის წარმომადგენელი, რომელიც მხოლოდ არასრულ სამუშაო დროის მანძილზე მუშაობს, აქირავებს _ გასცემს თავის საზაფხულო აგარაკს, მაშინ, როდესაც დეტროიტში მეძავი ქალი (პროსტიტუტი) არასაკმარისი დასაქმებულობის გამო მომსახურების ფასს ზრდის. დეტროიტში ღარიბი უმუშევარი ლოთები იძულებულნი არიან მხოლოდ ერთი ბოთლი სასმელი გაინაწილონ ყველაზე. გროს პოინტის მცხოვრებთა ერთი ნაწილი სირცხვილით ითხოვს დახმარებას, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი ურცხვად დადის ღამის წვეულებებზე რათა მოიძიოს გავლენიანი დამსაქმებლები“.

ამ ორ ჯგუფს შორის არსებული უზარმაზარი განსხვავება ნათლად მოწმობს „მქონებელთა“ და „უქონელთა“ არსებობის შესახებ. ეს სიტუაცია არის სწორედ ერთ-ერთი ყველაზე სარიოზული

მნიშვნელობის პრობლემა. რომელიც სოციოლოგებს აწუხებთ და აღელვებთ. ისინი ამ პრობლემას სამი ცვლადის: უთანასწორობის, სტრატეგიკაციის და კლასების ანალიზის გზით იკვლევენ.

უთანასწორობა, სტრატეგიკაცია და კლასი

რამდენიმე მაგალითი

უთანასწორობა. ფერმერმა დიდი მოსავალი მოიწია და თავისი მეურნეობის გაფართოების შესაძლებლობა გაუჩნდა. ამავე დროს მესაქონლე მწყემსი დიდ ზარალს განიცდის, რადგან მისი ფართის ნახევარზე მეტი ავადმყოფობამ იმსხვერპლა. ყოველივე ამის შედეგად ამ ორი ადამიანის მატერიალური კეთილდღეობა განსხვავებულია.

სტრატეგიკაცია. ფერმერი აფართოებს თავისი მიწის ნაწილს, და მისი სიკვდილის შემდეგ შვილები მნიშვნელოვანი სიდიდის მქონე ფერმებს იღებენ მემკვიდრეობით. მაგრამ როდესაც მწყემსი კვდება, მისი შვილები თითქმის არაფერს იღებენ მემკვიდრეობით. თითქმის იგივე მეორდება სხვა ფერმერებსა და მწყემსებს შორისაც.

კლასი. წლების განმავლობაში ფერმერები საერთო ინტერესების და მწყემსებზე უპირატესობის გრძნობის საფუძველზე ერთ ჯგუფად ერთიანდებიან; მწყემსებსაც უჩნდებათ ერთიანობის გრძნობა და აცნობიერებენ თავიანთ მიკუთვნებულობას ჯგუფისადმი. მწყემსთა ჯგუფს აკავშირებს და აერთიანებს საერთო უკმაყოფილება, მაგალითად ის, რომ ფერმერები მათ არ აძლევენ წყლის გამოყენების უფლებას თავიანთ ტერიტორიებზე.

განზოგადებული სახით ეს გამოიყურება შემდეგნაირად:

უთანასწორობა - ესაა პირობები, რომლის დროსაც ადამიანებს არათანაბარი ხელმისაწვდომობა აქვთ ისეთი სოციალური სიკეთეებისადმი, როგორებიცაა: ფული, ძალაუფლება და პრესტიჟი.

სტრატეგიკაცია - დაკავშირებულია იმ წესებთან, რომელთა მეშვეობითაც უთანასწორობა ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა. ამ დროს ყალიბდება საზოგადოების განსხვავებული ფენები.

კლასი - განპირობებულია იმ ჯგუფთა არსებობით, რომელსაც არათანაბრად მიუწვდებათ ხელი სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე, რომლებიც ასევე არათანაბარი პრესტიჟით სარგებლობენ. საზოგადოებაში დაკავებული ადგილი და მდგომარეობა კლასებს ზოგჯერ ძლიერი გავლენის მქონე პოლიტიკურ ჯგუფებად აქცევს.

მოცემულ თავში ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით განვიხილავთ ამ ცვლადებს. დავიწყებთ იმ მთავარი პრობლემებით, რომელიც სოციოლოგებს და სხვა მეცნიერებსაც აღელვებთ: აუცილებელია თუ არა არსებობდეს უთანასწორობა?

არის თუ არა უთანასწორობა საყოველთაო?

უთანასწორობა ყველა საზოგადოებაში, თვით პრიმიტიულში და თემური წყობილებისდროინდელ საზოგადოებაშიც კი არსებობდა და არსებობს. გუნარ ლანდტმანმა

გამოიკვლია კივასი (ახალი გვინეა) პაპუასების საზოგადოებრივი ცხოვრება, რომლის დროსაც დამტკიცდა, რომ უთანასწორობა შეინიშნება თვით ამ ძალიან პრიმიტიულ საზოგადოებაშიც კი.. ლანდტმანმა აღმოაჩინა, რომ მიუხედავად მოჩვენებითი საყოველთაო თანასწორობისა (ყველა მამაკაცი ასრულებდა ერთსა და იმავე სამუშაოს, არავინ არ ყავდა მოსამსახურე ან მონა, არცერთს არ ჰქონდა საკუთარი სახლი) პაპუასების საზოგადოებაში უთანასწორობა გარკვეული ზომით მაინც არსებობდა. მაგალითად, პაპუასს, რომელსაც შეეძლო მეტი რაოდენობის სტუმარის მიღება, ვიდრე დასახლების სხვა მცხოვრებლებს, ეკავა „ცოტათი მეტი, მაგრამ მაინც მაღალი ადგილი“ და მდგომარეობა. მეომრები, ჰარპუნის მსროლელნი და ჯადოქრები (მაგები) რამდენადმე მაღალ სტატუსს იძენდნენ და მოიპოვებდნენ. ამავე დროს ბრმები, ავადმყოფები და სხვა არასრულფასოვანი ადამიანები გაცილებით დაბალ სტატუსს ფლობდნენ, ისევე როგორც უმუშევრები და ისინიც, ვინც დაუოჯახებელი იყო.

გარდა ამისა, ქალები უფრო „დაბალ მდგომარეობას“ იჭერდნენ და იკავებდნენ, ვიდრე მამაკაცები. მათ არ ჰქონდათ მიწები, დასაქმებულნი იყვნენ ხილისა და ძირხვევნების მოკრეფით, და არ ნადირობდნენ მამაკაცებთან ერთად.

ანთროპოლოგებმა უთანასწორობის რაღაც საფეხურები ყველა „დამწერლობამდელ საზოგადოებაში“ აღმოაჩინეს. საზოგადოების წევრთა სტატუსი მათი კუთვნილი ისეთი ღირებულებებით განისაზღვრება, როგორებიცაა; სილამაზე, გაბედულება (სიმამაცე), რელიგიური ცოდნის სიღრმე. არსებობს სტატუსთა შორის არსებული განსხვავებების სიმბოლური გამოხატვის მრავალი წესი. პრიმიტიულ საზოგადოებებში ჩვეულებრივ გამოიყენება აღნიშვნები სხეულზე, ხოლო უფრო განვითარებულში ამ მიზანს ემსახურება მორთულობა სამკაულებით და განსაკუთრებით ტანსაცმელი. ყოველ შემთხვევაში ადამიანებს, რომლებიც მაღალი ღირებულების თვისებებით ხასიათდებიან, დიდი მოწიწებით ეპყრობიან, ვიდრე მათ, ვისი თვისებებიც მაღალ შეფასებას არ იმსახურებენ.

უთანასწორობა განსხვავებულ საზოგადოებებში

უფრო მსხვილ, დიდ და რთულ საზოგადოებებში უთანასწორობა ცხადად ვლინდება. ფრიად წარმატებულია გერჰარდ ლენსკის მიერ მოცემული უთანასწორობის თვალსაზრისით საზოგადოების შედარების მცდელობა. მან აღმოაჩინა, რომ მონადირეთა და შემგროვებელთა (მაგ, კივასი პაპუასები) საზოგადოებებში უთანასწორობას ყველაზე ნაკლები ზომით ჰქონდა ადგილი. ასეთ საზოგადოებებში შრომა ასაკის და სქესის შესაბამისად ნაწილდებოდა. მოხუცები უვლიან პატარებს, ქალები დროის ძირითად ნაწილს სადილების მომზადებაზე, ხილისა და ბოსტნეულის კრეფაზე ხარჯავენ. მამაკაცები კი სამხედრო საქმითა და ნადირობით არიან დაკავებულნი.

მებაღე-მებახჩეთა საზოგადოებებში პროდუქტთა ნებისმიერი ნამეტი, რომელიც მოსავლის აღების შემდეგ რჩება, კვლავ ნაწილდება ჯგუფის წევრებს შორის. გამნაწილებლის მნიშვნელოვან როლს ჩვეულებრივ ერთი და იგივე ადამიანი ახორციელებს. იგი იღებს ძალაუფლებას, შეუძლია ვინმეს სხვასთან შედარებით უპირეტესობა მისცეს, შედეგად კი დოვლათის არათანაბარ განაწილებას ვიღებთ. თუ საზოგადოებაში მუდმივად რჩება პროდუქტთა ნამეტი, მაშინ მის

ყოველს წევრს არ სჭირდება კვების პროდუქტებისათვის საქმიანობა. ზოგიერთ წევრს შეუძლია შრომის სხვა სახეებში დახელოვნდეს და დასპეცდეს. პოლიტიკური ლიდერის, ვაჭრის და მღვდელის როლები იქცევიან ისეთ თანამდებობებად, რომლებიც დროის სრულ დანახარჯს მოითხოვს. რამდენადც ამ თანამდებობების დამკავებელი ადამიანები ძალაუფლებას ფლობენ, ამდენად მათ სოციალურ დოვლათის მნიშვნელოვანი წილის მითვისება შეუძლიათ.

ლენსკიმ აღმოაჩინა, რომ უთანასწორობა ყველაზე ნათლად აგრარულ საზოგადოებებში ვლინდება. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ირიგაციის და მოთხოვნის სისტემები) სრულყოფამ ხელი შეუწყო კვების პროდუქტების წარმოების გაზრდას ყოველივე ამის შედეგად ადამიანთა დიდმა რაოდენობამ შესძლო ეცხოვრათ პატარა მოცულობის მქონე ტერიტორიაზე; პატარა და დიდმა ქალაქებმა უკვე შეძლეს საკუთარი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო რაიონების დახმარებით. აგრარულ საზოგადოებაში, როგორც მეზაღეთა საზოგადოებაში პოლიტიკური ლიდერის ან სასულიერო პირის როლის შემსრულებელი ადამიანები, უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ისინი გაცილებით დიდ და ბევრ რესურსებს ფლობენ. ძალაუფლება შეიძლება მონარქის ხელში იქნას თავმოყრილი და მემკვიდრეობით გადაცემული. ცალკეულ ინდივიდებს და ოჯახებს ასევე შეუძლიათ ფლობდნენ მიწის დიდ ფართობებს და მიიღონ შემოსავლები სხვა ადამიანების შრომის ხარჯზე, რომლებსაც ისინი უფლებას რთავენ გამოიყენონ მიწა მარცვლეული კულტურების მოსაყვანად და მეცხოველეობის გასავითარებლად. ბოლოს, მმართველებს აგრარულ საზოგადოებაში უფრო დიდი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე პრიმიტიულში, რამდენადაც ისინი საქმიანობის უფრო ფართო სფეროებს აკონტროლებენ.

A. Berdzenishvili

ლენსკის აზრით, სამრეწველო საზოგადოებებში სინამდვილეში უფრო ნაკლები უთანასწორობა არსებობს, ვიდრე აგრარულში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უფრო რთული შედგენილობისა არიან. ეს აიხსნება იმით, რომ პირველში შეიმჩნევა ძალაუფლების რამდენადმე ნაკლები კონცენტრაცია. სამრეწველო საზოგადოებებში, რომლებიც ისწრაფვიან ჰყავდეთ დამოკრატული მთავრობა, შეიძლება მოხდეს ბრძოლა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის გავლენის მოპოვების მიზნით, მაგალითად, პროფკავშირებსა და ფერმერთა გაერთიანებებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ დონეზე დიდი თანასწორობით ნათლად გამოხატული ტენდენციისა, ინდუსტრულ ქვეყნებში უთანასწორობა იფურჩქნება (განსაკუთრებით შემოსავლების მიხედვით). განვითარებულ ქვეყნებში უფრო მეტი თანასწორობაა მიღწეული ვიდრე განვითარებადში, მაგრამ რამდენიმე გამონაკლისიც არსებობს. ისრაელი, ინდოეთი განვითარების საკმაოდ დაბალ საფეხურზე იმყოფებიან, მაგრამ მათში წონასწორობის შედარებით მაღალი დონეა. ჩინეთში სადაც მთავრობა ახორციელებს კონტროლს ეკონომიკაზე, ასევე შეინიშნება თანასწორობის მაღალი დონე, მიუხედავად განვითარების დაბალი დონის.

ყველაფერი იცვლება . . .

უთანასწორობისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ.

განვიხილოთ ცხრილი 9-1, რომელშიც ნაჩვენებია ამერიკული ოჯახების მიერ 1950 დან 1984-მდე მიღებული შემოსავლების განაწილება. ცხრილში შემოსავლის დონეები ექვს კატეგორიად არის დაყოფილი – უმდაბლესიდან უმაღლესამდე და ზეუმდალესამდე (ზედა 5 პროცენტი). პროცენტული მაჩვენებლები ახასიათებენ ექვსი კატეგორიიდან თითოეულში ყოველ

10 წელიწადში მიღებული შემოსავლის სიდიდე. მაშასადამე, შემოსავლები თანაბრად რომ განაწილებულიყო თითოეული ხუთი ჯგუფიდან საერთო შემოსავლების 20 პროცენტს მიიღებდა, მაგრამ თუ გაეცნობით ცხრილს, თქვენ დაინახავთ, რომ უმაღლესი მეხუთე ჯგუფის წარმომადგენლებმა მიიღეს საერთო შემოსავლების 40 პროცენტზე მეტი თითოეულ ათწლეულზე. თქვენ შეიძლება დარწმუნდეთ, რომ შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობა აგრძელებს არსებობას ამერიკულ საზოგადოებაში, ეკონომიკაში სხვადასხვა ცვლილებების და ღარიბებისათვის დახმარების მრავალრიცხოვანი პროგრამების განხორციელების მიუხედავად.

ცხრილი 9-1. ოჯახური შემოსავლების განაწილება (პროცენტებში %-ში).

წელი	ოჯახური შემოსავლების დონე. კატეგორია					
	დაბალი ხუთ%- იანი	მეორე ხუთ%- იანი	საშუალო ხუთ%-იანი	მეოთხე ხუთ%- იანი	უმაღლესი ხუთ%-იანი	ზეუმდალესი ხუთ%-იანი
1950	4,5	12,0	17,4	23,4	42,7	17,3
1960	4,8	12,2	17,8	24,0	41,3	15,9
1970	5,4	12,2	17,6	23,8	40,9	15,6
1980	5,1	11,6	17,5	24,3	41,6	15,3
1984	4,7	11,0	17,0	14,4	42,9	16,0

წყარო: U.S. Bureau of the Census. 1984, პ.37

პროცენტულ მიმართებაში გამოყოფილი ექვსი კატეგორიის წილი თითქმის არ შეცვლილა ათწლეულების განმავლობაში.

უფრო მეტიც, სიმდიდრის განაწილება განსხვავებით შემოსავლებისაგან, პირადი საკუთრებისა და აქციების ჩათვლით, არ შეცვლილა აშშ-ში მთელი 200 წლის მანძილზე. ტირმა და სმიტმა შეძლეს მიეღოთ მონაცემები იმ პირთა ქონების გადასახადზე, რომლებსაც მუდმივი სამუშაო ჰქონდათ ფილადელფიაში 1789 წელს. შეადარეს რა ეს მონაცემები 1949, 1959 და 1956 წლის შემოსავლების განაწილებას, მათ მატერიალური დოვლათის სრულიად ერთნაირი განაწილება აღმოაჩინეს ამ ორ პერიოდში მაშინაც, ისევე, როგორც დღეს, საქმოსნები და ინტელექტუალური შრომის პირები უფრო მდიდრები იყვნენ, ვიდრე მუშები და კანცელარიის მომსახურენი.

უთანასწორობის ბუნება

თუმცა ყველა სოციოლოგი აღიარებს, რომ უთანასწორობა ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაში, ისინი სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ მის არსებასა და მიზეზებს. ამ განყოფილებაში ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე საპირისპირო შეხედულებებს.

ფუნქციონალიზმის თეორიები:

ყველაზე საუკეთესოთა წახალისება

უთანასწორობის ბუნება

ყველა სოციოლოგი თანხმდება იმაზე, რომ უთანასწორობა საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული და ბევრს მსჯელობენ მისი არსისა და ბუნების შესახებ.

ფუნქციონალიზმის თეორიები: საუკეთესოთა წახალისება

უთანასწორობის ერთ-ერთი პირველი ახსნა ემილ დიურკემმა შემოგვთავაზა. ნაშრომში “საზოგადოებრივი შრომის განაწილების შესახებ” (1893) დიურკემი მივიდა დასკვნამდე, რომ საქმიანობის ერთი სახეობა ითვლება უფრო მნიშვნელოვანად, ვიდრე სხვები. ერთ საზოგადოებაში ფასდება რელიგიური მოღვაწეობა, სულის ხსნაზე ზრუნვა, მაგალითად, პურიტანებში. თუმცა, სხვა საზოგადოებაში დიდ სოციალურ ღირებულებად შეიძლება ითვლებოდეს მატერიალური სიმდიდრე. საზოგადოების ყველა ფუნქცია – კანონი, რელიგია, ოჯახი, შრომა და ა.შ შეიძლება ქმნიდნენ იერარქიას იმის მიხედვით, თუ რამდენად ფასდება თითოეული ეს ღირებულება.

დიურკემის თეორიის მეორე ასპექტი იმას ამტკიცებს, რომ ადამიანებს განსხვავებული ნიჭი აქვთ – ზოგიერთები ნაკლებად ნიჭიერები არიან, სხვები – მეტად. სწავლის დროს ეს განსხვავებები უფრო შესამჩნევი ხდება. დიურკემი თვლის, რომ განვითარებულ საზოგადოებაში ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციებს ყველაზე ნიჭიერები უნდა ასრულებდნენ. ყველაზე ნიჭიერთა საქმეში ჩასართავად კი, საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს მათი დამსახურებების ანაზღაურებასა და წახალისებას.

1954 წელს კინგსლი დევისმა და იულბერ მურმა გამოაქვეყნეს თეორია, რომელიც დიურკემის კონცეფციაზე დაყრდნობით შემუშავდა. ისინი თვლიან, რომ უთანასწორობა ეხმარება საზოგადოებას უზრუნველყოს ისეთი პირობების შექმნა, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობას ყველაზე ნიჭიერები ეწევიან. პრიმიტიულ საზოგადოებებში, ყველაზე მაღალი სტატუსი მკურნალებსა და მეომრებს აქვთ. განვითარებულ საზოგადოებაში კი, ფასდებიან ინჟინრები და ექიმები.

საქმიანობები ერთმანეთისგან იმ სოციალური სისტემების მიხედვით განსხვავდებიან, რომელშიც ისინი არსებობენ. ზოგიერთ საზოგადოებაში რაღაც საქმიანობა საჭირო საერთოდაც არ არის. თუმცა, ზოგიერთი ფუნქცია ყველა საზოგადოებაში არსებობს. ესენია რელიგია, მმართველობა და უფრო რთულ საზოგადოებებში, ტექნოლოგიაც. რელიგიური საქმიანობა არის წამყვანი, რამდენადაც სწორედ მის საფუძველზე ხდება საერთო ღირებულებების ფორმირება.

რელიგიური ლიდერები ქმნიან ერთგვარ მორალურ კოდექსს, რომელსაც ადამიანები მისდევენ ხსნის მოსაპოვებლად. და რადგანაც ეს ფუნქცია ძალიან მნიშვნელოვანია, რელიგიური პირების დაჯილდოვება მეტად ხდება, ვიდრე საზოგადოების რიგითი წევრებისა. საუბარია ხშირად არა ფინანსურ ჯილდოზე, არამედ სოციალურ ჯილდოზე – აღიარებასა და პატივისცემაზე.

მმართველობა – კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა. ხელისუფლებას გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე მათ, ვისაც ისინი მართავენ. მართვის სადავეების ხელში ჩაგდება არის ამ ადამიანთა დაჯილდოება, თუმცა, ამასთან ისინი დიდი ქონების მფლობელებიც შეიძლება აღმოჩნდნენ.

დევისისა და მურის მიხედვით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო მოღვაწეობისა არის ტექნოლოგია. “ტექნიკოსები” მოღვაწეობენ სპეციალურ სფეროებში, მაგალითად, სამხედრო სფეროში. რამდენადაც ეს საქმიანობა დიდ დროს საჭიროებს, საზოგადოებამ ამ ადამიანებს მატერიალური სიკეთეები უნდა მიაწოდოს, რათა მათ ჰქონდეთ საქმის შემდგომი გაგრძელების სტიმული.

კონფლიქტის თეორიები: ხელისუფლების პრივილეგიათა დაცვა

კონფლიქტის თეორიის მომხრეები არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ უთანასწორობა საზოგადოების გადარჩენის ბუნებრივი გზაა. ისინი აცხადებენ, რომ ფუნქციონალისტური მიდგომა სტატუს – ქვოს შენარჩუნების მცდელობაა და სხვა არაფერი. კონფლიქტური თეორიის მომხრეები თვლიან, რომ უთანასწორობის მიზეზი სწორედ ამგვარი მიდგომაა.

მარქსი – უთანასწორობის ბევრი იდეა მარქსის სტრატეგიკაციისა და კლასების თეორიიდან იღებს სათავეს. მარქსმა კაცობრიობის ისტორია პროდუქტის წარმოების წესის მიხედვით დაყო და მას წარმოების წესი უწოდა.

ფეოდალიზმის პერიოდში წარმოების მთავარი წესი სოფლის მეურნეობა იყო; ფეოდალი ფლობდა მიწას, გლეხები კი მასზე მუშაობდნენ.

კაპიტალიზმის პერიოდში საწარმოთა მფლობელები უხდიან დაქირავებულებს, რომლებიც შემდეგ ამ ფულს საკუთარი სურვილისამებლს ანაწილებენ.

წარმოების წესი განსაზღვრავს თითოეული ფორმაციის ეკონომიკურ ორგანიზაციას. მარქსი ეკონომიკურ ორგანიზაციას საზოგადოების ცხოვრების მთავარ ასპექტს უწოდებდა. მასში შედის ტექნოლოგია, შრომის განაწილება და, რაც მთავარია, წარმოების სისტემაში ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობები. ეს ურთიერთობები მარქსის კლასების კონცეფციაში არსებით როლს თამაშობს.

მარქსი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური ორგანიზაციის ნებისმიერი ტიპის არსებობისას, არსებობს გაბატონებული კლასი, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებს (ქარხნები, მასალა და ა.შ.) და და აკონტროლებს მათ. ეკონომიკური ძალაუფლების წყალობით, გაბატონებული კლასი წყვეტს მათ ბედს, ვინც მასზე მუშაობს. ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალები გლეხებს აკონტროლებდნენ, კაპიტალისტურში – ბურჟუაზია ბატონობს პროლეტარიატზე.

ამრიგად, მარქსი ამტკიცებდა, რომ საზოგადოება ყოველთვის არის დაყოფილი ორ-გაბატონებულ და ექსპლუატირებულ კლასებად; ასევე აცხადებდა, რომ ერთი გაბატონებული კლასი იცვლება მეორეთი (ფეოდალი კაპიტალისტით).

მარქსის მიხედვით, ძალაუფლების მქონე კლასი ახდენს მშრომელი კლასის ექსპლუატაციას; ეს უკანასკნელი ქმნის პროდუქტს და როდესაც პროდუქტი იყიდება, გაბატონებული კლასი იღებს მოგებას. მარქსი ხაზს უსვამდა, რომ დამატებითი ღირებულება იქმნება მუშათა კლასის მიერ.

მარქსი მივიდა დასკვნამდე, რომ ერთ დღესაც მუშათა კლასი მიხვდება, რომ მის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება მიდის მფლობელის ჯიბეში. შესაბამისად, კაპიტალიზმის განვითარების პარალელურად, ბურჟუაზია გამდიდრდება, პროლეტარიატი კი – გაღატაკდება. კონფლიქტი კლასებს შორის აგრესიულ ხასიათს მიიღებს, მოხდება რევოლუცია, რაც კაპიტალიზმის დამარცხებასა და სოციალიზმზე გადასვლას გამოიწვევს.

მაგრამ, მარქსის წინასწარმეტყველება არგამართლდა. პირველი, თავად პროლეტარიატში ბევრი ფენა გაჩნდა; გაჩნდა მომსახურების სფერო. მეორეც, ყველანი ისინი კაპიტალისტებთან მჭიდრო ურთიერთობაში არიან დაინტერესებულნი.

მიხელსი – იღებს მარქსის თეორიის თითქმის ყველა პრინციპს, მაგრამ ეჭვქვეშ აყენებს იდეას იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ორგანიზაცია არის კლასებს შორის კონფლიქტის მთავარი მიზეზი.

რობერტ მიხელსის მტკიცებით, ოლიგარქია (უმცირესობის ბატონობა) ყალიბდება ნებისმიერ შემთხვევაში, თუ საზოგადოების რაოდენობა რაღაც ზღვარს აღემატება (1 000-დან 10 000-მდე ადამიანს). ამ თეორიას “ოლიგარქიის რკინის კანონს” უწოდებენ. ხელისუფლების კონცენტრაციის ტენდენცია ძირითადად ორგანიზაციის სტრუქტურით არის განპირობებული. ორგანიზაციის ყველა წევრს არძალუმს ერთდროულად და თანმიდმევრულად მოქმედება. ამდენად, ისინი პასუხისმგებლობას აკისრებენ რამდენიმე ლიდერს, რომელთა ძალაუფლებაც იზრდება.

რ. დარენდორფი – ამტკიცებს, რომ კლასობრივ კონფლიქტს ხელისუფლების ხასიათი განსაზღვრავს. კონფლიქტი გამოწვეულია არა ეკონომიკური ურთიერთობებით, არამედ ერთი ჯგუფის მეორეზე ბატონობით. კონფლიქტი შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში, სადაც არსებობენ ხელმძღვანელი და დაქვემდებარებული.

მ.ვებერის თეორია: სიმდიდრე-პრესტიჟი-ძალაუფლება

ვებერი, მარქსისგან განსხვავებით, თვლის, რომ სტრატეგიკაციის საფუძველი ეკონომიკური ორგანიზაცია სულაც არ არის. მან უთანასწორობის სამი ძირითადი კომპონენტი გამოყო. ის მიიჩნევდა, რომ სამივე კომპონენტი ურთიერთდაკავშირებული, და იმავდროულად, დამოუკიდებელი რამ იყო.

პირველი კომპონენტია უთანასწორობა გამოწვეული ქონებით. სიმდიდრე გაცილებით მეტია, ვიდრე დაგროვილი თანხა; მდიდრები ხშირად საერთოდ არ მუშაობენ და თანხას კაპიტალდაბანდებებიდან იღებენ.

მეორე კომპონენტია სტატუსური ჯგუფები – განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენლები სარგებლობენ განსხვავებული პატივისცემითა და პრესტიჟით. სტატუსურ ჯგუფებს აქვთ განსხვავებული ცხოვრების წესი. აქვთ დამახასიათებელი ქცევის მანერა, აქვთ მსგავსი ჩაცმის სტილი.

არსებობს პრესტიჟული სტატუსური ჯგუფიც – მდიდრები, რომელთა გემოვნების დაკმაყოფილებაც დიდ თანხებს საჭიროებს. მაგრამ ყველა სტატუსური ჯგუფი როდი შედგება მდიდრებისგან; ეს მახასიათებელი გადამწყვეტი არ არის.

ადამიანის სტატუსზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. სიმდიდრე, მართალია. მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია პრესტიჟი, რომელიც შესაძლოა სულაც არ იყოს დამოკიდებული სიმდიდრეზე. მაგალითად, მღვდელს, კოლეჯის პროფესორს, რომლის საშუალო წლიური შემოსავალი 40 000 დოლარია აქვს გაცილებით მაღალი პრესტიჟი, ვიდრე პორნოგრაფიული სტუდიის მფლობელს, რომელიც მათზე გაცილებით მდიდარია.

სიმდიდრისა და პრესტიჟის გარდა, ვებერმა გამოყო სტრატეგიკაციის მესამე ფაქტორი – ძალაუფლება. ძალაუფლებას პოლიტიკური ხასიათი აქვს და გულისხმობს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უნარს აწარმოონ პოლიტიკა სხვა ჯგუფების წინააღმდეგობის მიუხედავად.

უორნერის თეორია: კლასი და რეპუტაცია

ზემოთ განხილული თეორიების თანახმად, უთანასწორობა და სტრატეგიკაცია არის კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური პირობების შედეგი. განსხვავებული მოსაზრება აქვს რეპუტაციული თეორიის ავტორს – ლოიდ უორნერს. მან XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩაატარა სოფლის – “იანკი-სიტის” - თემის კვლევა.

სისტემის ანალიზი თემის წევრთა მიერ ერთმანეთის დახასიათებაზე დაყრდნობით მოხდა. ამრიგად, ადამიანები თავად განსაზღვრავდნენ კლასისადმი კუთვნილებას. მაგალითად, თუ ჯიხურის მფლობელი თვლიდა, რომ ბანკის თანამშრომელი მასზე მაღალის სტატუსის მქონეა, უორნერისთვის ეს იყო ამოსავალი. ეს არის “რეპუტაციული” პრინციპი, როდესაც ადამიანები სხვების კლასობრივ კუთვნილებას განსაზღვრავენ სტატუსის შეფასების მიხედვით.

უორნერმა “იანკი-სიტიში” ექვსი კლასი გამოავლინა;

1. უმაღლესი კლასი – მთავარი იყო “კარგი გვარის” ქონა და წარმომავლობა;

2. დაბალი უმაღლესი კლასი – მდიდრები, რომლებიც არ იყვნენ არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები. ისინი ახდენდნენ ფუფუნების საგნების დემონსტრირებას;
3. საშუალო კლასის უმაღლესი ფენა – განათლებული პირები, რომლებიც ინტელექტუალური სამუშაოთი იყვნენ დაკავებულნი და ჰქონდათ მაღალი შემოსავალი: იურისტები, ექიმები;
4. საშუალო კლასის დაბალი ფენა – ძირითადად კანცელარიის თანამშრომლები და “თეთრსაყელოებიანები” (ბანკის თანამშრომლები, საქმეთამწარმოებლები);
5. დაბალი კლასის უმაღლესი ფენა – “ცისფერსაყელოებიანები” – ქარხნის მუშები, ფიზიკური სამუშაოთი დაკავებულები;
6. დაბალი კლასის უმდაბლესი ფენა – ყველაზე ღარიბები.

ტრეიმანის თეორიის ოთხი პუნქტი

ჟორნერის გარდა იყვნენ სხვა მკვლევრებიც, რომლებიც სტრატეგიკაციას პრესტიჟის ანალიზით ხსნიდნენ, თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას ისინი ადამიანების სხვადასხვა პროფესიებისადმი დამოკიდებულებას აქცევდნენ. ტარდებოდა კვლევები სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ადამიანებს პროფესიების პრესტიჟულობის შეფასებას სთხოვდნენ. აღმოჩნდა, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებებში ერთი და იგივე პროფესიებზე იყო მოთხოვნა.

1977 წელს დონალდ ტრეიმანმა გააანალიზა 53 ქვეყანაში ჩატარებული 85 კვლევა და მივიდა დასკვნამდე, რომ პრესტიჟის შეფასება მთელს მსოფლიოში ერთმანეთს ძალიან გავს. შედეგებზე დაყრდნობით, ტრეიმანმა შეიმუშავა თეორია, რომელიც ხსნიდა, თუ რატომ ჰგავს შეფასებები ერთმანეთს. მისი თეორია ოთხი ძირითადი დებულებისგან შედგება.

პირველი, მოთხოვნები (საკვების, ჩაცმის, საცხოვრებელი ადგილის) ყველა საზოგადოებაში მსგავსია. გარდა ამისა, თანამედროვე საზოგადოებაში ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საშუალებებია საჭირო. შესაბამისად, ადგილი აქვს შრომის განაწილებასა და პროდუქტის წარმოებას.

მეორე, შრომის სპეციალიზირებული განაწილებისას ყალიბდება ძალაუფლების განსხვავებული დონეები – ექიმებს აქვთ მეტი კვალიფიკაცია და აქვთ მეტი ძალაუფლება, ვიდრე მედდებს.

მესამე, ყველა საზოგადოებაში არსებობენ პრივილეგირებულნი. ძირითადად, ეს არიან ადამიანები, რომელთაც მაღალი პოლიტიკური პოსტები უკავიათ და შეუძლიათ პოლიტიკური ძალაუფლების საკუთარი ინტერესებისამებრ დაკმაყოფილება.

მეოთხე დებულება გამომდინარეობს პირველი სამიდან; რამდენადაც ძალაუფლება და პრივილეგია ყველგან ფასდება, მათთან დაკავშირებული პროფესიებიც პრესტიჟულად ითვლება.

კლასი და სოციალური მობილობა

სიცოცხლის ხანგრძლივობა. ისტორიულად ისე მოხდა, რომ კლასობრივი კუთვნილება სიცოცხლის ხანგრძლივობაზე არსებით გავლენას არ ახდენდა. სამრეწველო რევოლუციამდე სიკვდილიანობა ყველა კლასში დაახლოებით მსგავსი იყო. თუმცა, სამრეწველო რევოლუციის საწყის ეტაპზე დაბალი კლასის წარმომადგენელთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ოდნავ მაღალი იყო. ამას ცუდი პირობებითა და დაბალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით ხსნიდნენ.

დღეისთვის ეს პრობლემა ბევრ ქვეყანაში მოხსნილია. დაბალი კლასის წარმომადგენლები კარგად იკვებებიან, აქვთ უკეთესი სამედიცინო დახმარება, ვიდრე წარსულში. თუმცა, სხვაობა აღმოფხვრილი სულაც არ არის.

ამის მიზეზი არის უყურადღებობა და სურვილის არარსებობა დროულად მიხედონ საკუთარ ჯანმრთელობას, ასევე გადაიხადონ მკურნალობის საფასური.

ოჯახური ცხოვრება. საზოგადოებრივი კლასი გავლენას ახდენს ოჯახის წევრებს შორის ვალდებულებათა გადანაწილებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, საშუალო კლასის წარმომადგენელი ქმრები ოჯახის საქმეებს უფრო მეტად ასრულებენ, ვიდრე მუშათა კლასის წარმომადგენლები.

არსებობს პრობლემები კომუნიკაციის დონეზე. მაგალითად, ლილიან რუბინმა დაადგინა, რომ წყვილები მუშათა კლასიდან ნაკლებად ცდილობენ ურთიერთგაგების მიღწევას, ვიდრე საშუალო კლასის წარმომადგენლები.

მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლები უფრო მეტად არიან ოჯახურ ცხოვრებაში ჩაფლულნი, ვიდრე საშუალო ფენის წარმომადგენლები.

დასვენება. კლასობრივი განსხვავებები თავს დასვენების სფეროში აშკარად იჩენს. ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ მაღალი კლასის წარმომადგენლები “კარგად” ისვენებენ. ისინი ხშირად სტუმრობენ თეატრებს, საკონცერტო დარბაზებს, განსხვავებით დაბალი კლასის წარმომადგენელთაგან.

განსხვავებულია ასევე მათი, როგორც მკითხველების გემოვნება. თუ მაღალი კლასის წარმომადგენლები უპირატესობას სამეცნიერო ლიტერატურასა და ბიოგრაფიებს ანიჭებენ, საშუალო კლასს ურჩევნია წიგნები სიყვარულზე და ოჯახურ ცხოვრებაზე წაიკითხოს. აი, დაბალ კლასს კი იუმორისტული ლიტერატურა უყვარს.

მაღალი კლასის წარმომადგენლები თავისუფალ დროს სპორტით არიან დაკავებულნი, დაბალი კლასის წარმომადგენლები კი, შეჯიბრებებს მაყურებლის სტატუსით აკვირდებიან. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მაღალი შემოსავალია.

მდიდრებს სპორტდარბაზებსა და გართობის ადგილებში სიარულის მეტი შანსი აქვთ.

პიროვნების სტატუსის შეფასება. უცხო ადამიანები ერთმანეთის გაცნობისას ერთმანეთზე წარმოდგენას პირველი შთაბეჭდილებით იქმნიან. მაგალითად, ითვლება, რომ კარგად ჩაცმული ადამიანი მაღალი კლასის წარმომადგენელია.

ჯონ მოლოიმ 1978 წელს დაწერა წიგნი “ტანსაცმლის როლი წარმატების მოპოვებაში”. იქ ახსნილია, თუ როგორ უნდა გამოიყენო ტანისამოსი ისე, რომ თუნდაც დაბალი კლასის წარმომადგენელმა თავი მაღალი კლასის წარმომადგენლად წარმოაჩინო.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ადამიანის განათლება. თუ ადამიანს დოქტორის ხარისხი აქვს, ითვლება, რომ მაღალი რანგის სპეციალისტია, რაც მასზე კარგი შთაბეჭდილების შექმნას უწყობს ხელს.

სხვა კვლევებმა გამოავლინა, რომ ცოლები ამყობენ ქმრების სტატუსითა და მიღწევით და საკუთარ სტატუსს ამის შესაბამისად განსაზღვრავენ. ქმრები კი, მნიშვნელობას მხოლოდ საკუთარ მიღწევებს ანიჭებენ.

ინდივიდუალური მობილობა

ინდივიდუალური მობილობა – ეს არის ინდივიდის მდგომარეობის შეცვლა სტრატეგიკაციულ სისტემაში. ამგვარი ცვლილება შესაძლოა მოხდეს სამი ფაქტორის გამო: 1) ვერტიკალური ან ჰორიზონტალური მობილობის გამო; 2) სოციალური სტრუქტურის რეორგანიზაციით და 3) სტრატეგიკაციის ახალი სისტემის შემოღებით.

1. ვერტიკალური ან ჰორიზონტალური მობილობა.

ვერტიკალური მობილობა არის ინდივიდის სოციალური მდგომარეობის ცვლილება, რომელსაც თან ახლავს სტატუსის მომატება ან მისი დაქვეითება. როდესაც ადამიანი შედარებით მაღალ სტატუსს იძენს, ეს არის აღმავალი ვერტიკალური მობილობა; თუ მისი დაქვეითება ხდება, მაშინ დაღმავალ ვერტიკალურ მობილობასთან გვაქვს საქმე. (მდივნის ხელმძღვანელ პოსტზე დანიშვნა და პირიქით).

რაც შეეხება ჰორიზონტალურ მობილობას, ეს არის სოციალური მდგომარეობის ცვლილება ისე, რომ სტატუსი არ იცვლება (ერთი სამსახურიდან მეორეში გადაყვანა იგივე თანამდებობაზე).

2. სოციალური სტრუქტურის ცვლილება.

საზოგადოების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები ქმნის ახალ შესაძლებლობებს მობილობის განვითარებისთვის. მაგალითად, ინდუსტრიული რევოლუცია ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, მომსახურების ახალ სფეროებს. შესაბამისად, მობილობაც ახალ ხასიათს იღებს.

3. სტრატეგიკაციის ახალი სისტემა.

სისტემა შესაძლოა შეიცვალოს. მაგალითად, რუსეთისა და საფრანგეთის რევოლუციების შემდეგ სრულიად შეიცვალა სისტემა; არისტოკრატებმა საკუთარი ძალაუფლება და პრივილეგიები სრულიად დაკარგეს.

კოლექტიური მობილობა

შესაძლოა სოციალურ სისტემაში პოზიცია მთელმა ჯგუფმა შეიცვალოს. მაგალითად, თუ ერთ დროს შავკანიანები დაბალი ფენის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ, XX საუკუნის ბოლოსთვის ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

ყველა საზოგადოებაში აქვს ადგილი როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ მობილობას, რაც სტრატეგიკაციის სისტემით არის განპირობებული, ანუ იმით, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მიწერილ და მიღწეულ სტატუსებს.

მიწერილია სტატუსი, რომელიც ძირითადად მემკვიდრეობით ფაქტორებს უკავშირდება (სქესს, ასაკს, ფერს, დაბადების ადგილს).

მიღწეულია სტატუსი, რომელსაც ადამიანები თავად აღწევენ (მაგალითად, დოქტორის ხარისხის მოპოვება).

როდესაც საზოგადოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიწერილ სტატუსს ანიჭებს, იქ ადგილი აქვს კოლექტიური მობილობის ტენდენციებს. ამის მაგალითია კასტების არსებობა ინდოეთში. იქ ადამიანები იზადებიან და უკვე არიან კონკრეტული კასტის წევრები, მოქმედებენ მისი წესების მიხედვით და კასტა განსაზღვრავს მათ მიერ სამსახურის არჩევასაც კი. შესაბამისად, იქ ადგილი ინდივიდუალური მობილობისთვის თითქმის არ რჩება.

კოლექტიური მობილობა მაშინ ხდებოდა, როდესაც მსხვილი კასტა იშლებოდა შედარებით პატარა კასტებად და იქ ყველას საკუთარი ფუნქციები ჰქონდა.

იქ კი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიღწეულ სტატუსს ენიჭება, ადგილი ინდივიდუალური მობილობისთვის გაცილებით მეტია.